

ქ. თბილისი, მ. ზანდუკელის 36-ში მდებარე შენობის ანალიზიდ ა რეკომენდაციები განსახორციელებელ სამუშაოებზე
თბილისი
2025 წ
ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისში, ვერაზე, ზანდუკელის ქუჩაზე.



ზანდუკელის ქუჩა წარმოადგენს თბილისის ისტორიული ნაწილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ურბანულ ღერძს, რომლის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. ქუჩას მკაფიოდ ახასიათებს „პერიმეტრული“ განაშენიანება, რომელიც ეფუძნება წითელი ხაზის დაცვის პრინციპს და საერთო არქიტექტურული სტრუქტურის ერთიანობას. აღნიშნული მონაკვეთის ანალიზი ნათლად წარმოაჩენს თბილისის ისტორიული ქსოვილის სტრუქტურულ და სტილისტურ თავისებურებებს.

ქუჩის იმ მონაკვეთში, სადაც განთავსებულია საპროექტო ნაკვეთი, სართულიანობა უმეტესად ორსართულიან და სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს ეფუძნება. განსაკუთრებით თვალშისაცემია შედარებით მაღალი მოცულობის სამსართულიანი აგურის შენობები, რომლებიც ქუჩის სივრცეს დომინანტურ ხასიათს ანიჭებენ და ხაზს უსვამენ მის კომპოზიციურ მნიშვნელობას. მიუხედავად მოცულობითი განსხვავებებისა, საერთო სართულიანობა იცავს ისტორიული ქალაქის მასშტაბს და ქმნის დაბალი, ადამიანზე მორგებული სილუეტის მქონე ქუჩის პროფილს, რაც თბილისის ისტორიული ნაწილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

აღნიშნულ მონაკვეთს ახასიათებს „პერიმეტრული“ განაშენიანების კლასიკური მოდელი: შენობები უშუალოდ მიჰყვებიან ქუჩის წითელ ხაზს და ქმნიან უწყვეტ ფასადურ ერთიანობას. ფასადების უკან იხსნება შიდა ეზოები, რომლებიც არა მხოლოდ ფუნქციურ, არამედ სოციალურ როლსაც ასრულებენ. სწორედ ეზოს სისტემაა ის ძირითადი მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც განასახიერებს თბილისის ტრადიციულ ურბანულ სტრუქტურას და აყალიბებს მჭიდრო კვარტალური განაშენიანების ერთიან ქსოვილს.



არქიტექტურული ანალიზი ცხადყოფს აგურის არქიტექტურის დომინირებას, რაც დამახასიათებელია მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის. ფასადებზე მკაფიოდ იკითხება დეკორატიული აგურის წყობის ხერხები: ვერტიკალური ხაზების, ალათებისა და სარკმლის ჩარჩოების აქცენტირება, აგრეთვე გრძივი ჰორიზონტალური სარტყლები, რომლებიც ფასადს კომპოზიციურად

ყოფენ და არქიტექტურულ რიტმს განსაზღვრავენ. აგურის პლასტიკას თან ერთვის ხის აივნები და ლითონის აივნები, რომლებიც დამატებით მხატვრულ ღირებულებას აძლევენ ფასადებს და ქმნიან მრავალფეროვან სტილისტურ ხასიათს. სწორედ ამ ელემენტთა სინთეზი განაპირობებს ზანდუკელის ქუჩის მოცემული მონაკვეთის არქიტექტურულ ხასიათს და უზრუნველყოფს მის მნიშვნელობას როგორც თბილისის ისტორიული ურბანული იდენტობის მნიშვნელოვან კომპონენტს.



ქუჩის ურბანული ქსოვილი, გამოირჩევა თავისი მჭიდრო განაშენიანებითა და ეზოს ტიპის სივრცითი ორგანიზებით. საპროექტო მონაკვეთი, (01.15.02.015.002), სწორედ ასეთ მორფოლოგიურ სტრუქტურას ეკუთვნის: ქუჩის მკაფიო ფრონტის უკან ვითარდება შიდა ეზო, ხოლო ეზოს სიღრმეში განლაგებულია არქიტექტურული მოცულობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შენობა ნაწილობრივ დაშლილია, ის ინარჩუნებს პირვანდელ მორფოლოგიურ კონფიგურაციას, რასაც ადასტურებს როგორც ვიზუალური დაკვირვება, ისე თბილისის ტოპოგრაფიული რუკები.


სამწუხაროდ, საარქივო ფოტომასალა ამ შენობისთვის დღემდე არ არის მოღწეული, თუმცა აშნიშნული კვლევა ეფუძნება ტოპოგრაფიულ რუკებს, სადაც ნაკვეთის თავდაპირველი კონფიგურაცია გარკვევით არის დატანილი; სავლე ვიზუალურ დაკვირვებას, რომელიც საშუალებას იძლევა შემორჩენილი ელემენტების საფუძველზე ნაწილობრივ აღდგეს მისი არქიტექტურული სახე; და მორფოლოგიურ ანალიზს, რომელიც ისტორიული ქალაქის ქსოვილის ლოგიკას ეყრდნობა.



ნაგებობა განლაგებულია ეზოს სიღრმეში და თავდაპირველად მჭიდროდ უკავშირდებოდა ეზოს ფუნქციურ ორგანიზებას. მისთვის დამახასიათებელი იყო მცირე შიდა ეზოსაკენ გახსნილი აივნები, რომლებიც ქმნიდა საცხოვრებელ სივრცეს შორის პირდაპირ ვიზუალურ და ფუნქციურ კავშირს. შენობას გააჩნდა მცირე მოცულობა და სართულიანობა, რაც შეესაბამებოდა ეზოს სიღრმეში განთავსებული დამხმარე ან მეორეხარისხოვანი საცხოვრებელი ნაგებობის ტიპოლოგიას. იგი ასახავდა თბილისური ეზოს ხასიათს, სადაც რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი სივრცე ერთმანეთთან საერთო ეზოს საშუალებით იყო დაკავშირებული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შენობა ამჟამად თითქმის სრულად არის დაშლილი და რთულდება მისი თავდაპირველი სტრუქტურის დაბეჯითებით მტკიცება. თუმცა, სწორედ შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ხდება მისი თავდაპირველი სტრუქტურისა და სივრცითი კომპოზიციის წაკითხვა. გვიანდელი მინაშენები ცვლიდა აუთენტურ სტრუქტურას და მნიშვნელოვნად არღვევდა პირვანდელ იერსახეს, თუმცა ეს ტენდენცია ზოგადად დამახასიათებელია თბილისის ისტორიული ურბანული ქსოვილისათვის, სადაც საცხოვრებელი გარემო დროთა განმავლობაში ადაპტირდებოდა ახალი ყოფითი საჭიროებების შესაბამისად.

ტოპოგრაფიული რუკების მონაცემები ადასტურებს, რომ ნაგებობის თავდაპირველი კონფიგურაცია სრულად შეესაბამებოდა ეზოს შიდა სტრუქტურას და ქმნიდა ისტორიული ქალაქისთვის დამახასიათებელ კომპოზიციას: ქუჩის მკაფიო ფრონტის უკან მოქცეულ მცირე ეზოს, მის სიღრმეში განლაგებულ დამხმარე საცხოვრებელ მოცულობას და აივნებით გახსნილ სივრცეებს.



შენობის აღქმა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზანდუკელის ქუჩიდან, რადგან იგი ეზოს სიღრმეშია განთავსებული და მჭიდრო განაშენიანებაში თითქოს „ჩაკარგულია“. აღნიშნულ სივრცეს ორივე მხარეს აკრავს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობები, რომლებიც მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნიან საპროექტო ობიექტისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცხენა მხარეს არსებული ხის, გახსნილი შუშაბანდიანი სახლი, რომელიც უშუალოდ ეზიარება პროექტის ნაგებობას და მასთან მჭიდრო არქიტექტურულ-სტილისტურ დიალოგში შედის. აღნიშნული შენობის ეზოში, საპროექტო შენობის ჭიშკრის გვერიდთ არსებული კარიდან ვხვდებით, დიდი ალბათობით, ამ ორივე ნაგებობას

თავდაპირველად ერთიანი ეზო უნდა ჰქონოდა, რომლის გაყოფამაც მარცხენა შენობის ეზოში გაჩენილმა მიმაშენმა გამოიწვია. სწორედ ამიტომ ორივე სივრცეში შესასვლელი, ერთგვარი „უხერხულობით“ ხასიათდება.

მეორე მხრივ, ქუჩის #38 ნომერში არსებული ნაგებობა მკვეთრი მართი კუთხით ესაზღვრება ნაკვეთს, რითაც ხაზს უსვამს სივრცის კომპოზიციურ მთლიანობას.

აღნიშნული თანმიმდევრობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქუჩისპირის ორივე ნაგებობა ერთგვარად ანგარიშს უწევდა მცირე ზომის შიდა ნაკვეთს, რომელზეც განთავსებული ორსართულიანი სახლი, როგორც ჩანს, შედარებით ადრეულ პერიოდში უნდა ყოფილიყო აშენებული, ვიდრე მის გვერდით აღმოცენებული ორი შენობა. არქიტექტურული მასალის ანალიზიც ამ მოსაზრებას ამყარებს: საპროექტო ობიექტი ნაგებია ძველი ქართული აგურით, მაშინ როცა მომიჯნავე სახლებში უკვე ე.წ. რუსული აგურია გამოყენებული.

ეს განსხვავება არა მხოლოდ სამშენებლო ტექნოლოგიების ევოლუციას, არამედ ქრონოლოგიურ შრეებსაც ასახავს და მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტი ძველი ურბანული კონტექსტის ორგანული ნაწილია. მისი ადგილმდებარეობა, მეზობელი ნაგებობების მიმართული დგომა და აგურის ტიპოლოგიური სხვაობა ერთად ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს დასკვნისთვის, რომ ზანდუკელის ქუჩის ეზოს სიღრმეში არსებული სახლი წარმოადგენს განაშენიანების შედარებით ადრეულ მაგალითს, რომელიც „მოიჭყლიტა“, უფრო ზუსტად კი შევიწროვდა მომიჯნავედ გაჩენილი შენობების ფონზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნული ნაგებობა ნაწილობრივ დაშლილია და მისგან მხოლოდ მეორე სართულის ხის აივანი და სხვენის ფრაგმენტია შემორჩენილი. მასალის ანალიზით დგინდება, რომ ძირითადი მოცულობა აივნით. ფრონტონისმაგავრი სხვენით ყოფილა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით მისი კიბის უჯრები, უკან არსებულ შენობის მომიჯნავედ უნდა ყოფილიყო დაბრძანილი. თუმცა მოგვიანებით აღნიშნულ მონაკვეთში, მინაშენი გაჩნდა, რომელიც ნაგებობას შეუერთდა და მცირე ზომის ეზო შეკრა (ფოტოზე აღნიშნულია)) მიუხედავად ფიზიკური დაზიანებისა, შენობის პირვანდელი სახის რეკონსტრუქციისათვის შესაძლებელია შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც დაეფუძნება როგორც ვიზუალურ დაკვირვებასა და შემორჩენილი ელემენტების ანალიზს, ასევე თბილისის ტოპოგრაფიულ რუკებსა და შედარებით მაგალითებს.















საპროექტო შენობა

გვიანდელი მინაშენი

ნაკვეთის საღვარი

- პირველ რიგში, აუცილებელია სტრუქტურული რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს შენობის მოცულობისა და სართულობის აღდგენას პირვანდელი კონფიგურაციის მიხედვით. შემორჩენილი სხვენის ფრაგმენტი იძლევა საშუალებას განისაზღვროს სახურავის სიმაღლე და დახრის კუთხე, ხოლო ხის აივანი – მისი განლაგება და არქიტექტურული რიტმი.



- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აივნის არქიტექტურულ ელემენტებს, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ფუნქციურ დეტალს, არამედ მნიშვნელოვანია შენობის მორფოლოგიის თავლსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აივანის ეზოსთან მიმართება (ოდნავ მართი კუთხით), მისი გახსნილობა კვლავაც იქნას შენარჩუნებული. ეს არის ერთადერთი ელემენტი, რომლის აღქმაც ქუჩიდან არის შესაძლებელი. აუცილებელია აივნის კომპოზიციური მთლიანობის დაცვა, მათ შორის ღია აივნის სტრუქტურული გადაწყვეტა და კიბის სისტემასთან ორგანული კავშირი, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ამ არქიტექტურული ელემენტის ავთენტურ იერსახეს.
- ამავდროულად გამომდინარე იქიდან, რომ შენობას საკმაოდ მაღალი სხვენი აქვს, ცხადია შესაძლებელია მისი გამოყენება, ქანობის ცვლილება კეხის სიმაღლის უცვლელად;
- შენობას მცირე ეზოს მხარეს ტავდაპირველად ღია აივანი დაიყვებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვალა და ე.წ. ფრანგულ აივნებად იქცა. ახალ პროექტში შესაძლებელია აღნიშნული ელემენტის ან კვლავ გამოყენება, ან აღნიშნული ეზოს მხარეს გარდამავალი ფასადის რეკონსტრუქცია, შესაძლებელია გახსნილი ვიტრაჟების განთავსება;
- მნიშვნელოვანია უკანა მცირე დახურული ეზოს, როგორც სტრუქტურული ელემენტის შენარჩუნება;
- ეზოს სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია მინაშენები, რომელიც სხვადასხვა დროს არის გაჩენილი. ერთსართულიანი შენობები, ბოლო დრომდე საცხოვრებლად გამოიყენებოდა და ძირიტად ნაგებობასტან ერტად ნაკვეთის

მორფოლოგიას ქმნიდა. რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ძირიტადი და დამხმარე სივრცეების გაერთიანება და ერთიან მოცულობად ქცევა, არამედ არსებული სივრცობრივი ზღვარი მათ შორის აუცილებელია რომ შენარჩუნდეს. მინაშენების რეკონსტრუქციისას ხაზგასასმელია მათი ფასადის ეზოსთან მიმართება. შესაძლებლად მიგვაჩნია მათი სახურავის ტერასად გამოყენება შენობის ფუქნციური ადაპტაციის თვალსაზრისით;

- ერთმნიშვნელოვნად მოსაწესრიგებელია ქუჩიდან შესასვლელი ჭიშკარი, რომელიც სასურველია იყოს გამჭოლი/გახსნილი, რათა მოხდეს შენობის ვიზუალური ჩართვა განაშენიანების კონტექსტში.